

შპს „FLEXMEDIA“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული
წლისათვის

თბილისი

2023

შპს „FLEXMEDIA“

შინაარსი

შპს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
3. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	12
4. ფული და ფულის ექვივალენტები	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
6. მარაგები	13
7. ძირითადი საშუალებები	14
8. არამატერიალური აქტივები	15
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	16
10. ფინანსური ვალდებულებები	16
11. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები.....	16
12. ამონაგები	17
13. ნედლეულისა და მასალების ხარჯი	17
14. შრომის ანაზღაურების ხარჯი.....	17
15. სხვა საერთო ხარჯი.....	17
16. მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	18
17. პირობითი ვალდებულებები	18
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	19
20. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი.....	19

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ექვივალენტები	4	305,552	350,713	236,295
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	74,371	100,570	145,120
მარაგები	6	244,800	57,849	71,587
სულ მიმდინარე აქტივები		624,723	509,131	453,002
ძირითადი საშუალებები	7	529,055	555,615	612,672
არამატერიალური აქტივები	8	7,152	8,187	9,223
სულ გრძელვადიანი აქტივები		536,206	563,802	621,895
სულ აქტივები		1,160,930	1,072,933	1,074,897
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	21,007	10,838	8,985
ფინანსური ვალდებულებები	10	56,791	162,192	276,546
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	11	30,237	49,828	24,748
სულ მიმდინარე ვალდებულებები		108,035	222,857	310,279
ფინანსური ვალდებულებები.	10	14,651	87,430	286,616
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,651	87,430	286,616
სულ ვალდებულებები		122,686	310,287	596,895
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		1,038,244	762,646	478,002
სულ საკუთარი კაპიტალი		1,038,244	762,646	478,002
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,160,930	1,072,933	1,074,897

ნიკოლოზ ქობულაძე
დირექტორი
29.09.2023

ლაშქარა ლაშქარაშვილი
ბუღალტერი
29.09.2023

შპს „FLEXMEDIA“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ექვივალენტები	4	305,552	350,713	236,295
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	74,371	100,570	145,120
მარაგები	6	244,800	57,849	71,587
სულ მიმდინარე აქტივები		624,723	509,131	453,002
ძირითადი საშუალებები	7	529,055	555,615	612,672
არამატერიალური აქტივები	8	7,152	8,187	9,223
სულ გრძელვადიანი აქტივები		536,206	563,802	621,895
სულ აქტივები		1,160,930	1,072,933	1,074,897
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	21,007	10,838	8,985
ფინანსური ვალდებულებები	10	56,791	162,192	276,546
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	11	30,237	49,828	24,748
სულ მიმდინარე ვალდებულებები		108,035	222,857	310,279
ფინანსური ვალდებულებები.	10	14,651	87,430	286,616
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,651	87,430	286,616
სულ ვალდებულებები		122,686	310,287	596,895
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		1,038,244	762,646	478,002
სულ საკუთარი კაპიტალი		1,038,244	762,646	478,002
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,160,930	1,072,933	1,074,897

ნიკოლოზ ქაჭაბაძე
დირექტორი
29.09.2023

ლამპარა ლამპარაშვილი
ბუღალტერი
29.09.2023

7-19 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	12	2,930,479	1,875,435
ნედლეულისა და მასალების ხარჯი	13	(984,998)	(736,241)
შრომის ანაზღაურების ხარჯი	14	(762,325)	(513,887)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(108,648)	(102,973)
ტრანსპორტის ხარჯი		(34,078)	(25,637)
იჯარის ხარჯი		(23,856)	(24,636)
მივლინების ხარჯი		(30,697)	(7,546)
სხვა საერთო ხარჯი	15	(90,024)	(52,451)
საოპერაციო მოგება		895,853	412,063
ფინანსური დანახარჯები	10	(12,376)	(32,748)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		21,083	16,296
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(221)	(3,414)
მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	16	28,341	45,917
მოგება დაბეგვრამდე		932,680	438,113
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(98,562)	(23,020)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		834,117	415,093
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		834,117	415,093

 ნიკოლოზ ქობულაძე
 დირექტორი
 29.09.2023

 ლაშქარა ლაშქარაშვილი
 ბუღალტერი
 29.09.2023

შპს „FLEXMEDIA“

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	12	2,930,479	1,875,435
ნედლეულისა და მასალების ხარჯი	13	(984,998)	(736,241)
შრომის ანაზღაურების ხარჯი	14	(762,325)	(513,887)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(108,648)	(102,973)
ტრანსპორტის ხარჯი		(34,078)	(25,637)
იჯარის ხარჯი		(23,856)	(24,636)
მივლინების ხარჯი		(30,697)	(7,546)
სხვა საერთო ხარჯი	15	(90,024)	(52,451)
საოპერაციო მოგება		895,853	412,063
ფინანსური დანახარჯები	10	(12,376)	(32,748)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		21,083	16,296
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(221)	(3,414)
მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	16	28,341	45,917
მოგება დაბეგვრამდე		932,680	438,113
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(98,562)	(23,020)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		834,117	415,093
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		834,117	415,093

ნიკოლოზ ქობულაძე
დირექტორი
29.09.2023



ლევან ლომიძე
ბუღალტერი
29.09.2023

7-19 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2020	-	478,002	478,002
			-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	415,093	415,093
განაწილებული დივიდენდი	-	(130,449)	(130,449)
			-
31.12.2021	-	762,646	762,646
			-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	834,117	834,117
განაწილებული დივიდენდი	-	(558,520)	(558,520)
			-
31.12.2022	-	1,038,244	1,038,244

ნიკოლოზ ქობულაძე
დირექტორი
29.09.2023

ლამპარა ლამპარაშვილი
ბუღალტერი
29.09.2023

შპს „FLEXMEDIA“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2020	-	478,002	478,002
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	415,093	415,093
განაწილებული დივიდენდი	-	(130,449)	(130,449)
31.12.2021	-	762,646	762,646
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	834,117	834,117
განაწილებული დივიდენდი	-	(558,520)	(558,520)
31.12.2022	-	1,038,244	1,038,244

ნიკოლოზ ქობულაძე
დირექტორი
29.09.2023



ლამეკარა ლამეკარაშვილი
ზუღადტერი
29.09.2023

7-19 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	374,160	307,664
<i>კორექტირება:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	108,648	102,973
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროს სხვაობიდან	(28,341)	(45,917)
ანარიცხის დარიცხვა/(შემცირება)	24,577	-
ფინანსური ხარჯი	12,376	32,748
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	491,421	397,469
საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		
მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	1,646	44,663
ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	10,170	1,852
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(186,951)	13,738
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(19,591)	25,080
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(194,726)	85,333
გადახდილი მოგების გადასახადი	(98,562)	(23,020)
გადახდილი ფინანსური ხარჯი	(12,376)	(32,748)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	185,756	427,033
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(81,052)	(44,880)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(81,052)	(44,880)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	121,153	146,767
სესხის დაფარვა	(262,323)	(413,550)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(141,170)	(266,783)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(36,466)	115,370
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკუროს სხვაობის ეფექტი	(8,694)	(953)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	350,713	236,295
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	305,552	350,713

ნიკოლოზ ქობულაძე
დირექტორი
29.09.2023

ლაშქარა ლაშქარაშვილი
ბუღალტერი
29.09.2023

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	374,160	307,664
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	108,648	102,973
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროს სხვაობიდან	(28,341)	(45,917)
ანარიცხის დარიცხვა/(შემცირება)	24,577	-
ფინანსური ხარჯი	12,376	32,748
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	491,421	397,469
საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	491,421	397,469
მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	1,646	44,663
ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	10,170	1,852
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(186,951)	13,738
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(19,591)	25,080
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(194,726)	85,333
გადახდილი მოგების გადასახადი	(98,562)	(23,020)
გადახდილი ფინანსური ხარჯი	(12,376)	(32,748)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	185,756	427,033
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(81,052)	(44,880)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(81,052)	(44,880)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	121,153	146,767
სესხის დაფარვა	(262,323)	(413,550)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(141,170)	(266,783)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(36,466)	115,370
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკუროს სხვაობის ეფექტი	(8,694)	(953)
ფული და ფულადი ექვივალენტის ფერიცხადის დასაწყისში	350,713	236,295
ფული და ფულადი ექვივალენტის ფერიცხადის ბოლოს	305,552	350,713

ნიკოლოზ ქობულაძე
დირექტორი
29.09.2023



ლევან ბაშკარაშვილი
ბუღალტერი
29.09.2023

7-19 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „FLEXMEDIA“ (ს/ნ 401978311) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მას., III კვ., კორ. 1, ბ. 85. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 1/43. საწარმოს 50-50%-იანი მესაკუთრეები არიან ნიკოლოზ ქობულაძე (პ/ნ 04001008199) და მამუკა შველიძე (პ/ნ 01006010853). საწარმოს დირექტორია ნიკოლოზ ქობულაძე (პ/ნ 04001008199).

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა, ავეჯის წარმოება დაწესებულებებისა და მაღაზიებისათვის, ტექსტილის მზა ნაწარმის წარმოება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

კომპანია მიმდინარე პერიოდში პირველად წარადგენს მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებულ პირველი ფინანსურ ანგარიშგებას. გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2021 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2021 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2021 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

2.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.4 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

2.5 ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიხედვითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

2.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა დანადგარები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

2.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

2.9 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.10 სასესხო ვალდებულებები

მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

2.11 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

2.12 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

2.13 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში მიღებული საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.14 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.15 აქტივების გაუფასურება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშაულებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.16 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგეო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგეო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1 USD / GEL	2.7020	3.0976	3.2766
1 EUR / GEL	2.8844	3.5040	4.0233

2.17 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგეო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

3. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული

ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მის ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას გარიგების ფასით, თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფული ეროვნულ ვალუტაში	270,273	350,582	236,188
ფული უცხოურ ვალუტაში	35,279	131	107
სულ	305,552	350,713	236,295

კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	94,781	98,803	142,841
გაცემული ავანსები	3,816	79	1,748
სხვა მოთხოვნები	353	1,688	531
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(24,577)	-	-
სულ	74,371	100,570	145,120

კომპანიის კლიენტებს წარმოადგენენ როგორც იურიდიული აგრეთვე ფიზიკური პირები.

კომპანია ყველა ვადაგადაცილებულ მოთხოვნაზე წინდახედულების პრინციპის შესაბამისად ქმნის საჭვო მოთხოვნების ანარიცხებს.

6. მარაგები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ნედლეული და მასალები	232,625	54,745	69,904
მზა პროდუქცია	536	536	1,032
სხვა მარაგები	11,639	2,568	651
სულ	244,800	57,849	71,587

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
დეკემბერი 31, 2020	605,628	37,375	12,987	91,367	40,692	788,048
მატება	36,939	2,953	356	-	5,241	45,488
კლება	-	-	(1,064)	-	-	(1,064)
დეკემბერი 31, 2021	642,566	40,327	12,280	91,367	45,932	832,472
მატება	55,033	6,462	2,373	16,956	229	81,052
კლება	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2022	697,599	46,790	14,653	108,322	46,161	913,525
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>						
დეკემბერი 31, 2020	(114,628)	(18,712)	(8,835)	(16,494)	(16,706)	(175,376)
მიმდინარე წლის ცვეთა	(75,376)	(6,799)	(2,011)	(12,367)	(5,385)	(101,938)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	456	-	-	456
დეკემბერი 31, 2021	(190,005)	(25,511)	(10,390)	(28,861)	(22,091)	(276,857)
მიმდინარე წლის ცვეთა	(79,379)	(6,384)	(1,464)	(15,424)	(4,962)	(107,612)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2022	(269,384)	(31,895)	(11,853)	(44,285)	(27,053)	(384,470)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>						
დეკემბერი 31, 2020	490,999	18,662	4,153	74,872	23,986	612,672
დეკემბერი 31, 2021	452,562	14,816	1,890	62,505	23,841	555,615
დეკემბერი 31, 2022	428,216	14,895	2,799	64,037	19,108	529,055

კომპანიის ქონება დაგირავებულია ბანკიდან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შემენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

8. არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო პროგრამა	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
დეკემბერი 31, 2020	9,776	9,776
მატება	-	-
კლება	-	-
დეკემბერი 31, 2021	9,776	9,776
მატება	-	-
კლება	-	-
დეკემბერი 31, 2022	9,776	9,776
<i>დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება</i>		
დეკემბერი 31, 2020	(554)	(554)
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(1,036)	(1,036)
დეკემბერი 31, 2021	(1,589)	(1,589)
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(1,036)	(1,036)
დეკემბერი 31, 2022	(2,625)	(2,625)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>		
დეკემბერი 31, 2020	9,223	9,223
დეკემბერი 31, 2021	8,187	8,187
დეკემბერი 31, 2022	7,152	7,152

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	19,047	9,128	8,830
მიღებული ავანსები	1,960	1,710	155
სულ	21,007	10,838	8,985

10. ფინანსური ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
მიმდინარე ნაწილი	56,791	162,192	276,546
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	14,651	87,430	286,616
სულ	71,442	249,621	563,162

ფინანსური დანახარჯები

	2022	2021
საპროცენტო ხარჯები	12,376	32,748
სულ	12,376	32,748

ფინანსური ვალდებულებები წარმოადგენს ბანკებიდან მიღებულ სესხებსა უცხოურ ვალუტაში და საკრედიტო ხაზებს ეროვნულ ვალუტაში.

11. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
საგადასახადო ვალდებულებები	30,237	49,828
სულ	30,237	49,828

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მოგების გადასახადის ნაწილში, 2016 წელს შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივებსა და ვალდებულებებს საგადასახადო მიზნებისათვის არ გააჩნია განსხვავებული მნიშვნელობა - საგადასახადო ბაზა. შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში არ წამოიშობა დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები და მოგების გადასახადი წარდგენილი იქნება მიმდინარე გადასახადის სახით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

12. ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2,684,088	1,706,436
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	246,391	168,999
სულ	2,930,479	1,875,435

13. ნედლეულისა და მასალების ხარჯი

	2022	2021
ნედლეულისა და მასალების ხარჯი	984,998	736,241
სულ	984,998	736,241

14. შრომის ანაზღაურების ხარჯი

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	747,921	504,025
საპენსიო ხარჯი	14,404	9,861
სულ	762,325	513,887

15. სხვა საერთო ხარჯი

	2022	2021
ოფისის ხარჯი	6,245	6,609
ძირითადი საშუალებების რემონტისა და ექსპლუატაციის ხარჯები	3,894	3,485
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	6,499	2,845
კომუნიკაციის ხარჯი	3,628	1,718
დაზღვევის ხარჯი	4,414	4,003
საკონსულტაციო ხარჯი	2,656	6,920
საექვო მოთხოვნების ხარჯი	24,577	-
შრომის უსაფრთხოების ხარჯი	6,863	-
ბანკის მომსახურების ხარჯი	7,502	5,124
სხვა საგადასახადო ხარჯი	333	6,791
სხვა ხარჯები	23,412	14,956
სულ	90,024	52,451

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

16. მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან

	2022	2021
კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(8,694)	(953)
კურსის ცვლილების გავლენა ფინანსურ აქტივებზე	26	113
კურსის ცვლილების გავლენა ფინანსურ ვალდებულებებზე	37,010	46,757
სულ	28,341	45,917

17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განაცხადებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები:

	2022	2021
ხელმძღვანელობაზე დარიცხული ხელფასი	111,663	88,151

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები.

20. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2023 წლის 29 სექტემბერს.

ნიკოლოზ ქობულაძე
დირექტორი
29.09.2023

ლაშქარა ლაშქარაშვილი
ბუღალტერი
29.09.2023

შპს „FLEXMEDIA“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები.

20. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2023 წლის 29 სექტემბერს.

ნიკოლოზ ქიზულაძე
დირექტორი
29.09.2023



დაშეარა ლაშვარაშვილი
ბუღალტერი
29.09.2023